საჯარო სამართლის იურიდიული პირი
საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი
საქპატენტი

ქ. მცხეთა

"26" 11 2013 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 1673/03

სასაქონლო ნიშანზე სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნის რეგისტრაციის თაობაზე

2013 წლის 9 ნოემბერს N 74269/03 განაცხადით შპს „Chinese Georgian trade company-Hubei"-ის წარმომადგენელმა იეჩუნ ინმა (მის: ამბროლაურის ქ. 166, კორპ. 11, ბ.44, თბილისი) მოითხოვა სასაქონლო ნიშანზე „M" (რეგ. N 24310) სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნის ორი წლის ვადით სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნათა რეესტრში რეგისტრაცია. სასაქონლო ნიშანი „M" (რეგ. N 24310) „საქპატენტში" რეგისტრირებულია 21.11.2013 წელს და მისი მოქმედების ვადა განისაზღვრება 21.11.2023 წლამდე. სასაქონლო ნიშანი რეგისტრირებულია მე-16 კლასის საქონლის ჩამონათვალის მიმართ. არსებული გარემოებების შესწავლის შედეგად და „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 52-ე მუხლის, „ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებულ სასაზღვრო ღონისძიებათა შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის" დებულების დამტკიცების შესახებ "საქართველოს მთავრობის 2010 წლის 3 ივლისის N181 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. სასაქონლო ნიშანზე

(რეგ. N 24310) დარეგისტრირდეს სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნა სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნათა რეესტრში ორი წლის ვადით (მოთხოვნის რეგისტრაციის N 437), მოთხოვნის რეგისტრაციის თარიღი 26.11.2013).

ასლი დედანთან სწორია
"26" 11 2013 წ.

სათაო ოფისი: 3300 ქ. მცხეთა, ანტიოქიის ქ. №5; ტელ.: (+995 32) 2252533; ტელ./ფაქსი: (+995 32) 2988419
გამომცემლობა: 0179 ქ. თბილისი, ნინო რამიშვილის ქ. №31; ტელ.: (+995 32) 2252796
E-mail: info@sakpatenti.org.ge
www.sakpatenti.org.ge

2. ეს გრმანება შეიძლება გასაჩივრდეს საქპატენტთან არსებულ სააპელაციო პალატაში კანონით დადგენილი წესით სამი თვის ვადაში ან მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: მცხეთა, სამხედროს N 17) ერთი თვის ვადაში.

თავმჯდომარე ირაკლი ღვალაძე

ეგზავნება: საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტს; შპს „Chinese Georgian trade company-Hubei"-ის წარმომადგენელს ბატონ იეჩუნ ინს (მის: ამბროლაურის ქ. 166, კორპ. 11, ბ.44, თბილისი)

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი „საქპატენტი“

ინფორმაცია სასაქონლო ნიშნის შესახებ:

ნიშანი:

რეგ. N 24310

მფლობელი: შპს „Chinese Georgian trade company-Hubei“

მისამართი: ამბროლაურის ქ. 166, კორპ. 11, ბ.44, 0160, თბილისი, საქართველო

კლასი: 16 -შესაფუთი ქაღალდის ან პლასტმასის პარკები, ტომრები, ჩანთები.